ხელშეკრულება # 10
(C-17-05-A020)

პროექტის ნაწილების და ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება

ქ. თბილისი 25 მაისი 2017 წელი

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ სპორტული ცენტრი ლილო** პ/კოდი 406138291 (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახაბერ ხარიტონაშვილის** (პნ:01015007317) სახით,

და

მეორე მხრივ, **შპს „ოპტიმალ გრუპ +"** (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინა კარბელაშვილის** სახით,

დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

1. სანაცვლო მომსახურების (შემდგომში მომსახურება) შესყიდვა (CPV 71300000);
2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემსრულებელი ასრულებს ინსპექტირების მომსახურებას, კერძოდ,
   - ქ. თბილისი ისან-სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება, 107 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის პროექტის შესაბამისობის დადგენა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში.
   - ქ. თბილისი ისან-სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება, 107 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის პროექტის ნაწილების (1.გეოლოგიური კვლევა; 2.კონსტრუქციული ნაწილი) ინსპექტირება.
   - ქ. თბილისი ისან-სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება, 107 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის პროექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება.

     დამკვეთის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის საფუძველზე, რის შედეგადაც წარუდგენს დამკვეთს შესაბამის ინსპექტირების ანგარიშს (საექსპერტო დასკვნას);

მუხლი 3. სამუშაოს საფასური და ანგარიშწორების ფორმა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 4900(ოთხასთოცდაცხრაასი)ლარს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.
2. საპროექტო დოკუმენტაციის რომელიმე ნაწილის ხელახალი ინსპექტირების აუცილებლობისას (ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევებში), განმეორებითი ინსპექტირების საფასური შეადგენს ამ ნაწილის პირველადი ინსპექტირების ღირებულების 70%-ს;
3. დამკვეთი, ინსპექტირების სამუშაოს ჯამური ღირებულებას, გადაუხდის შემსრულებელს, შესაბამისი ინსპექტირების ანგარიშის(საექსპერტო დასკვნის) დაშვებადების შემდეგ, შემსრულებლის მიერ შესაბამისი ინვოისისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
4. იმ შემთხვევაში თუ, მხარეთა შეთანხმებით, მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტა დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის უკვე შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, შემსრულებლის მიერ გამოწერილი ინვოისის

ხელშეკრულება # 10
(C-17-05-A020)

პროექტის ნაწილების და ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება

ქ. თბილისი 25 მაისი 2017 წელი

მიხედვით საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების პირობები

1. შემსრულებელი იწყებს სამუშაოს შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების და დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის ინსპექტირების სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტური და სხვა მასალების სრულად გადაცემის მომენტიდან, რაც ფორმდება მხარეთა შორის შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერით, რომელიც შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით გაფორმდეს ელექტრონული ფორმით;
2. ინსპექტირების სამუშაოს შესრულების ვადა შეადგენს 11 სამუშაო დღეს, დამკვეთის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის და მასალის სრულად წარმოდგენის შემდეგ;
3. შემსრულებლის მიერ ჩატარებული ინსპექტირების მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების მიღება არ არის დამოკიდებული ინსპექტირების შედეგებზე;
4. სამუშაოს შესრულების ვადაში არ ჩაითვლება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სამუშაო შეჩერებულია დამკვეთის მიზეზით, ან დამკვეთის მოთხოვნით;
5. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირების პროცესში გაძიებულიყო, რომ დამკვეთის მიერ წარმოდგენილია დამატებითი დოკუმენტები/მასალები, შემსრულებელი ინსპექტირების ორგანოს ონლაინ სერვისის (online.agplus.com.ge) ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წერილობითი ფორმით მოსთხოვს დამკვეთს საჭირო მასალების წარმოდგენას და პერიოდი ამ მოთხოვნიდან, მოთხოვნილი მასალების წარმოდგენის მომენტამდე, არ ჩაითვლება სამუშაოს შესრულების ვადაში. სამუშაოს შესრულების ვადის თავლა განახლდება შემსრულებლის მიერ დამატებითი დოკუმენტების მიღების მომენტიდან, რაც ფორმდება მხარეთა შორის შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერით;
6. შენიშვნების არსებობისას, რომელთა გათვალისწინებაც გამოიწვევს საპროექტო გადაწყვეტილებისა და ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლების ცვლილებებს, რომლებიც გავლენას იქონიებს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ან საპროექტო გადაწყვეტების დამატებითი
- ვარიანტების შემუშავების აუცილებლობის შემთხვევაში, პროექტი ბრუნდება შემდგომი დამუშავებისათვის და ექვემდებარება ხელახალ ინსპექტირებას;
7. სამუშაოს დასრულების შემდეგ, შემსრულებელი გადასცემს დამკვეთის ინსპექტირების ანგარიშს, რაც ფორმდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის სახით, რომელიც ადასტურებს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
8. ინსპექტირების ანგარიშს შემსრულებელი გადასცემს დამკვეთს მხოლოდ სამუშაოს სრული ღირებულების გადახდის შემდეგ;
9. დამკვეთის მოთხოვნით, შესაძლებელია ინსპექტირების შედეგების გადამოწმება და დამკვეთის თანდასწრებით ინსპექტირების ხელმეორედ ჩატარება, მხოლოდ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. უკვე მიღებული შედეგების დადასტურების შემთხვევაში, განმეორებით ჩატარებული ინსპექტირების ხარჯები ეკისრება დამკვეთს;

მუხლი 5. შემსრულებლის უფლება-ვალდებულებები

1. შემსრულებელი ვალდებულია:
- სრული მოცულობით, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოები მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვადაში;

ხელშეკრულება # 10
(C-17-05-A020)

პროექტის ნაწილების და ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება

ქ. თბილისი 25 მაისი 2017 წელი

- დამკვეთის მოთხოვნით, ფასიდღლად და გონივრულ ვადაში, გამოსწორის მოსახურების გაწევის პროცესში აღმოჩენილი ყველა ნაკლი, რომელიც დადასტურებულად გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება;
- გასწოის მოსახურება მაღალი ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;
- სამუშაოს შესრულების პერიოდში დროულად აცნობოს დამკვეთს დამატებითი მასალების წარმოდგენის საჭიროების შესახებ;
- მოთხოვნა საჭირო მასალების წარმოდგენაზე განახორციელოს ინსპექტირების ორგანოს ონლაინ სერვისის (online.ogplus.com.ge) ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წერილობითი ფორმით;
- თუ ინსპექტირების მოსახურება ითვალისწინებს განსაკუთრებული ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღებას, შესრულებელი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრულ ვადაში შეეთანხმოს დამკვეთს ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღების თარიღი და დრო;
- სამუშაოს შესრულების პროცესში წარმოქმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ინსპექტირების მოსახურების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს ინსპექტირების ორგანოს ონლაინ სერვისის (online.ogplus.com.ge) ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წერილობითი ფორმით და დამკვეთთან შეთანხმებით, კომპანიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, გაგრძელოს ინსპექტირების მოსახურების ვადა.

2. შემსრულებელი უფლებამოსილია:
- მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;
- შეაჩეროს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, თუ ეს გამოწვეულია დამკვეთის მხრიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ვადების და გადახდის წესის დარღვევით, ან დამკვეთის მხრიდან სხვა მიზეზით;

მუხლი 6. დამკვეთის უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- დროულად მოახდინოს სახელშეკრულებო თანხის გადახდა;
- ხელი შეუწყოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში;
- სრულყოფილი სახით წარმოადგინოს სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალები ან/და უზრუნველყოს ექსპერტის დამაგება ობიექტზე;

2. დამკვეთი უფლებამოსილია:
- მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება;
- მოსთხოვოს შემსრულებელს ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების პროცესთან დაკავშირებით.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისგებლობა

1. შემსრულებელი პასუხისმგებელია მის მიერ შესრულებული სამუშაოს სისწორეზე და გამართულობაზე;

ხელშეკრულება # 10
(C-17-05-A020)

პროექტის ნაწილების და ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება

ქ. თბილისი 25 მაისი 2017 წელი

2. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მეორე მხარისათვის მიყენებულ დადასტურებულ ზიანზე. მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
3. თუ დამკვეთი უარს განაცხადებს შემსრულებლის მიერ მოშზადებული ინსპექტირების აქტის ჩაბარებაზე (მიღებაზე), იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის გადახდისაგან;
4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა მიერ გაკეთებული ინფორმაცია ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფიდენციალურია (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა). მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედება

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:
- მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;
- მხარეთა ურთიერთშეთანხმება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;
- მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დადასტურებული შეუსრულებლობა, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;
2. მხარეებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე დადასტურებულად არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას;
3. შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ დამკვეთი მისი გაფრთხილებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ გადაიხდის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ავანსს ანდა არ წარმოადგენს ხელისმოწერებიდ ძალიანებული საჭირო დოკუმენტებს;
4. საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შეწყვეტის სხვა ზოგადი საფუძვლები;

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონით და მიმართავენ საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ფორს მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
2. «დაუძლეველი ძალის» ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა და შემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ავეოქებები, ხანძარი, ავარია, ეპიზოოტია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა,

ხელშეკრულება # 10
(C-17-05-A020)

პროექტის ნაწილების და ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება

ქ. თბილისი — 25 მაისი 2017 წელი

გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აფერხებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.

3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე მხარეს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს შესაბამისი დასკვნით.
4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 5 (ხუთი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, მაშინ დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ხელშეკრულება, აგრეთვე ყველა დამატება ან/და ცვლილება, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ერთიან და განუყოფელ ნაწილს და სრულად გამოხატავს მხარეთა ნებას.
2. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.
3. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
4. მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის წარდგენილი ყველა წინადადება, მოთხოვნა, ანგარიში, შეტყობინება და სხვ. წერილობით უნდა გაფორმდეს და პირადად უნდა ჩაბარდეს მეორე მხარეს, ან გაეგზავნოს მას დაზღვეული საფოსტო გზავნილით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან ინსპექტირების ორგანოს ონლაინ სერვისის (online.ogplus.com.ge) ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა შემსრულებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

ა(ა)იპ სპორტული ცენტრი ლილო ს/კოდი 406138291 მის: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ლილოს დასახლება, N107 სკოლის მიმდებარედ ტელ.:577 23 73 00, 593 24 59 81 ელ.ფოსტა: lilosportcenter@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა 743217499 დირექტორი, კახაბერ ხარიტონიშვილი	**შპს „ოპტიმალ გრუპ +"** ს/კოდი: 404911592 მის: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.17ა საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი" TBCBGE22 ა/ნ GE27TB7160936080100002 დირექტორი, ნინა კრბელაშვილი